ფსიქოლოგის თანამდებობრივი ინსტრუქცია

წარმართავს საქმიანობას ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

1. ხელს უწყობს სწავლა–აღზრდას და აღსაზრდელის სრულყოფილ ფსიქიკურ განვითარებას ყოველ ასაკობრივ საფეხურზე, რისთვისაც ატარებს სათანადო მუშაობას მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან;

2. შეიმუშავებს და მიაწოდებს ფსიქოლოგიურ რეკომენდაციებს დირექციას, პედაგოგებს;

3. ხელს უწყობს პირველკლასელთა სასკოლო ცხოვრებისათვის ადაპტაციას. ამოწმებს პირველკლასელთა მზაობას სასკოლო სწავლებისათვის;

4. გამოიკვლევს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენილობის ან სოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ მიზეზებს და ატარებს საკორექციო მუშაობას კომპეტენციის ფარგლებში;

5. ხელს უწყობს ბავშვთა და პედაგოგიურ კოლექტივებში ჯანსაღი ფსიქოლოგიური ურთიერთობების დამყარებას;

6. შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში და საჭიროებისამებრ ატარებს მუშაობას;

7. გამოიკვლევს,,რისკის“ ჯგუფის ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებეს;

8. ატარებს ლექციებს, საუბრებს, დისპუტებს, პედაგოგ–აღმზრდელთა, მშობელთა და აღსაზრდელთა ფსიქოლოგიური კულტურის ასამაღლებლად;

9. აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე, გამოავლენს და წარუდგენს დირექციას კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში განსაკუთრებული აქტივობით გამორჩეულ მოსწავლეებს;

10. ყოველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშს აბარებს დირექციას.

დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან.

2. ფსიქოლოგის თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მომავლის სკოლის დირექტორის მიერ.